# ხაშურის მოამბე

№6 (37) 15 თებერვალი, ორშაბათი, 2016 წელი

## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება

პროექტი

2016 წლის თებერვალი, ხაშური

**ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტის და 851-ე მუხლის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი“,დანართი №1-ის შესაბამისად;

**მუხლი 2.** დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა“, დანართი №2-ის შესაბამისად;

**მუხლი 3.** ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა უზრუნველყოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებების გეგმის შემუშავება, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში;

**მუხლი 4.** ეთხოვოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის,მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისთვის საჭირო ტექნიკური და პროგრამული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა,ამ დადგენილების ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში;

**მუხლი 5.** დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე;

საკრებულოს თავმჯდომარე **ვაჟა შუბითიძე**

**რედაქციისგან: გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე, მოცულობის სიდიდის გამო, არ ხერხდება დადგენილების დანართების გამოქვეყნება. დაინტერესებულ პირებს დანართები შეუძლიათ იხილონ საკრებულოს ვებგვერდზე.**

## შეხვედრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში

სპორტული ცხოვრება ხაშურში ყოველთვის ჩქეფდა. მიღწევები, რომელიც ხაშურელ სპორტსმენებს აქვთ, მართლაც დიდია და მრავალფეროვანი. ბევრი ხაშურზე დიდი ქალაქიც ვერ დაიკვეხნის, რომ მის წიაღში ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები აღზრდილიყოს, აღარაფერი რომ არ ვთქვათ საქართველოს ჩემპიონებზე. ეს სპორტული ტრადიციები, რომელსაც უკვე საუკუნის ისტორია აქვს, დღესაც გრძელდება და ჩვენი სპორტსმენები ახალ-ახალი მიღწევებით გვანებივრებენ. ამ ფონზე, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულიც კია, რომ დღეს ხაშური საფეხბურთო სტადიონის გარეშეა დარჩენილი. ძველი ხელისუფლება, ფაქტობრივად, ამაზე არც ფიქრობდა და ამის შედეგიც იყო, რომ არსებული სტადიონის მთლიანად განადგურებული ინფრასტრუქტურა შეგვრჩა ხელთ. ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე დღის წესრიგში დადგა ეს საკითხი. მხოლოდ ადგილობრივი ძალებით და ფულადი რესურსით სტადიონის მშენებლობა რომ შეუძლებელია, ეს ყველასათვის ნათელია. რამდენჯერმე იყო მცდელობა, ამით ფეხბურთის ფედერაცია დაგვეინტერესებინა, რომ ერთობლივი ძალებით მოგვარებულიყო ეს პრობლემა, მაგრამ ფედერაციის ძველი შემადგენლობა, მგონი, ყველაფერზე ფიქრობდა ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების გარდა. ფედერაციაში ცვლილებების შემდეგ, ახალი შემადგენლობის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ რეგიონებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და განვითარებაა. ამას ქვეყნის მთავრობაც უჭერს მხარს და ამის დასტური უკვე გამოყოფილი და დამტკიცებული ის 263 მილიონი ლარია, რომელიც 5 წელზე გადანაწილდება და საქართველოში ამ უპირველესი სპორტის სახეობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ამ დღეებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გურასპაშვილის და გამგეობის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელების ფეხბურთის ფედერაციაში სტუმრობის მიზეზი სწორედ ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარება იყო. მათ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა უმასპინძლა. შეხვედრა გულთბილ ვითარებაში და კონსტრუქციულად წარიმართა. როგორც საუბრისას გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, ფედერაცია მხარს უჭერს ხაშურში ახალი სტადიონის მშენებლობას და თანადაფინანსებაშიც აქტიურ როლს შეასრულებს. რა თქმა უნდა, იმაზე საუბარი, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია, ჯერ ნაადრევია, მაგრამ საქმე რომ მკვდარი წერტილიდან დაიძრა, ესეც ფაქტია. თუ მოლაპარაკებები სასურველ კონდიციამდე მივიდა, ფედერაცია საკუთარ თავზე აიღებს მოედნის მშენებლობას და მასზე ულტრათანამედროვე ხელოვნური საფარის (ხაშურის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ხელოვნური საფარი ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია) დაგებას, ადგილობრივი ძალებით კი 1000-1500 კაცზე გათვლილი ტრიბუნები მოეწყობა.

დავუცადოთ მოვლენების განვითარებას და იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგეობა ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

გ. გოგოლაძე

## ვაუჩერების დარიგება დაიწყო

2013 წლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრო აწარმოებს მცირემიწიან ფერმერთა დახმარების ხელშეწყობის პროგრამას. წელსაც გაგრძელდა აღნიშნული პროექტი, რომლის მიზანია დახმარება გაუწიოს მცირემიწიან ფერმერებს, მათ, ვისაც საკუთრებაში აქვთ 1.25 ჰა სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები. აღნიშნულ პროექტში წარმატებით ჩაებნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის ფერმერები – 2013 წელს-12511, 2015 წელს 14047 ბენეფიციარი. პროექტის პირობების თანახმად, სასოფლო-სამეურნეო მიწების დამუშავებას-მოხვნას აწარმოებს შპს "მექანიზატორი" და ამხანაგობები. პროექტი გრძელდება 1 დეკემბრამდე, რაც საშუალებას აძლევს ფერმერებს მიწის დამუშავება მოახდინონ შემოდგომით. წელსაც გრძელდება აღნიშნული პროექტი. სასოფლო-სამეურნეო ხვნის ბარათები ჩამოტანილია ჩვენს მუნიციპალიტეტში. წელს პროექტში მონაწილეობას მიიღებს 13500 ბენეფიციარი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლებმა ხვნის ბარათები გადასცეს გამგებლის წარმომადგენლებს ერთეულების მიხედვით, სულ 8868 ბარათი. მათი დარიგება მოსახლეობისათვის დაიწყო, რაც საშუალებას მისცემს მათ მოახდინონ უკვე საგაზაფხულო ხვნის სამუშაოები, ხოლო მათ, ვისაც საკუთრებაში აქვთ 0,25 ჰა-მდე მიწის ფართობი, მიიღებენ სუბსიდიას 50 ქულის სახით. მისი საშუალებით შესაძლებელი იქნება ბენეფიციარებმა სპეციალიზირებულ მაღაზიებში შეიძინონ ნიადაგის გასანოყიერებელი სასუქი, შხამ-ქიმიკატები და სათესლე მასალა. ბენეფიციარები, რომელთაც



მიწა შემოდგომით დაამუშავეს, შესაძლებლობა აქვთ ჩააბრუნონ ხვნის ბარათები, რომელსაც მიენიჭება შესაბამისი კოდი და დაერიცხებათ



ნაკვეთის პროპორციული ქულების რაოდენობა 1 ჰექტარზე 140 ლარის გადაანგარიშებით.

## ვცდილობთ, ვადაგასული პროდუქცია მაღაზიის თაროებზე არ იყოს

სიჩქარით, ანდა ჩვენივე დაუდევრობით, ყველას გვიყიდია სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებში კვების პროდუქტები და სახლში მისულებს შეგვინიშნავს, რომ ვადაგასულია, ან ეტიკეტზე არასწორადაა მითითებული შემადგენლობა. არც თუ იშვიათად, ასეთი პროდუქტი ჩვენი ავადობის და ძლიერი ინტოქსიკაციის მიზეზიც გამხდარა. ჯანმრთელობასთან ხუმრობა და იუმორით მიდგომა ნამდვილად არ შეიძლება. სწორედ ამიტომ, შეიცვალა მიდგომა და სახელმწიფოს დამოკიდებულება – გაკონტროლდეს და საკვებად ვარგის ნორმებს დაექვემდებაროს ჩვენი მოხმარების პროდუქტები, იქნება ეს ადგილობრივი,თუ შემოტანილი. ამ მხრივ, ერთადერთი მაკონტროლირებელი და მარეგულირებელი ორგანო სურსათის უვნებლობის სამსახურია. რომელიც ბაზრებზე და სავაჭრო ობიექტებზე არსებულ მდგომარეობას დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს. თუმცა,ჩვენი ადამიანური დამოკიდებულება მაინც ზომიერად ფრთხილი უნდა იყოს, “ვენდობი,მაგრამ გადავამოწმებ“ პრინციპით. და მაინც, ჩვენი სიმშვიდისთვის, თუ რომელ პროდუქტებზე ხორციელდება განსაკუთრებული კონტროლი, რო

(დასასრული II გვერდზე)

(დასასრული II გვერდზე)

# ვცდილობთ, ვადაგასული პროდუქცია მაღაზიის თაროებზე არ იყოს

გორ უნდა დავიცვათ თავი და რა სადამსჯელო ღონისძიებები ტარდება კანონდამრღვევ ბიზნესოპერატორებზე, კომპეტენტურ პირს, სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორს, **ხათუნა ქიტიაშვილს** ვესაუბრეთ:

–სურსათის უვნებლობის სამსახურის ფუნქცია არის კვების ობიექტების კონტროლი, ინსპექტირება და ზედამხედველობა. ახალი დადგენილების თანახმად, 1 იანვრიდან, ბიზნესოპერატორი, რომელიც აწარმოებს ცხოველური წარმოშობის სურსათს, ვალდებულია, გაიაროს რეგისტრაცია და აღიარება მიიღოს. . ამჟამად, კონტროლი მიმდინარეობს იმაზე, ესა თუ ის მაღაზია, ან მცირე მეწარმე არის თუ არა ბიზნესოპერატორი და რა პირობებში ხდება სურსათის წარმოება და შემდგომ უკვე მიწოდება მომხმარებლისთვის, ერთადერთი მაკონტრილებელი ორგანო სურსათის უვნებლობის სამსახურია.

_ყველაზე ხშირად, რა ტიპის დარღვევებს ხვდებით?

–ყველაზე ხშირია ეტიკეტირების დარღვევის შემთხვევები. ასეთ დროს ხდება ეტიკეტის გადამოწმება, აუცილებელია იყოს ინფორმაცია ქართულად, რათა მომხმარებელმა მიიღოს პროდუქციაზე ინფორმაცია. არაქართული ეტიკეტის შემთხვევაში, ბიზნესოპერატორი ჯარიმდება, რადგან თავის ობიექტზე თვითონაა პასუხისმგებელი. სხვა ქვეყნებიდან შემოდის სხვადასხვა ტიპის პროდუქცია, სახელმწიფო ზრუნავს მათ კონტროლზე, მაგრამ მაინც ხდება დისტრიბუციის საშუალებით გვერდის ავლა. მაღაზიის მეპატრონის ინტერესებს უნდა წარმოადგენდეს, არ მიიღოს ასეთი ტიპის პროდუქცია. მაგალითად, ზოგიერთი სახეობის კარაქი, გაყინული ქათამი, ღვიძლი-შემოტანილია და არ აქვს ეტიკეტი, რომელიც მომხმარებელს მისცემს შესაძლებლობას გაიგოს, თუ რა სახის, შემადგენლობის პროდუქტს ყიდულობს და რამდენად დაცულია იგი. არსებობს სხვადასხვა დაავადებები და ეტიკეტზე არასწორად დატანილმა შემადგენლობამ და ინსტრუქციამ შესაძლებელია შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი და საფრთხე შეექმნას მის ჯანმრთელობას.





_განსაკუთრებული კონტროლი რომელ პროდუქტზე მიმდინარეობს?

-განსაკუთრებული კონტროლი ნედლ ხორცზე მიმდინარეობს. კვირაში ერთხელ უნდა შემოწმდეს სავაჭრო ობიექტები, რომლებიც ხორცის რეალიზაციას ეწევიან. მთავარი მოთხოვნაა ცხოველი აუცილებლად სასაკლაოზე დაიკლას, რასაც თან უნდა ერთვოდეს დოკუმენტები და ჩანაწერები, თუ რა რაოდენობის ხორცი მიიღო, საიდან და ვისგან, რომ მიკვლევადი იყოს ამ პროდუქტის წარმომავლობა.

_რძისა და რძის პროდუქტებზე გამკაცრებულმა კონტროლმა თუ შეცვალა მდგომარეობა?

–დიახ, გამკაცრებული იყო რძისა და რძის პროდუქტებზე კონტროლი, რომელიც ახლა ნორმის ფარგლებში ჯდება, რადგან საქართველოში უკვე არის დიდი წარმოებები, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და მომხმარებლის ინტერესი. ადრე ეტიკეტზე ეწერა, რომ იყო ნამდვილი არაჟანი და შემადგენლობაც არასწორად იყო მითითებული, რასაც მომხმარებელი შეჰყავდა შეცდომაში. ესეც დარეგულირდა დღეს და მსგავსი დარღვევები აღარ გვაქვს. ჩვენი სამსახურის მიზანიც ჩვენი მოსახლეობის დაცვაა ვადაგასული და საკვებად უვარგისი საკვებისაგან.

_რამდენადაც ვიცით, ჩვენს ბაზარზე შემოდის გენმოდიფიცირებული პროდუქტი, აქ რამდენად დაცულია მოსახლეობის ინტერესი, თვითონ გააკეთოს არჩევანი რა ტიპის საკვები მოიხმაროს?

–ძალიან ბევრი გენმოდიფიცირებული პროდუქტია ჩვენს ბაზარზე. რამოდენიმე თვეში ამ საკითხზეც დაიწყებს მუშაობას სურსათის უვნებლობის სამსახური, რომ ეტიკეტზე დატანილ იქნას, ესა თუ ის პროდუქცია გენმოდიფიცირებულია თუ ბიოლოგიურად- სუფთა. მაგრამ ამ ეტაპზე წარმოებებზე გვაქვს აქცენტი, რომ მათ დაარეგულირონ თავიანთი პროდუქცია, რათა მომხმარებლამდე მივიდეს ჯანსაღი სახით.

_როგორ ხდება ჯანსაღი და საკვებად უვარგისი პროდუქტის გარჩევა?

–მივდივართ ნებისმიერ მაღაზიაში, ვეცნობით, ვყიდულობთ პროდუქტს ნიმუშისთვის.. ნიმუშები იგზავნება თბილისში, ერთი კვირის მერე მოდის ანალიზის პასუხი და თუ აღმოჩნდება ნორმების დარღვევა, იმ პროდუქციას ვიღებთ სარეალიზაციო ქსელიდან. იყო შემთხვევა, ვიყიდეთ ადგილობრივი მწარმოებლის ნახევარფაბრიკატი, აღმოჩნდა დარღვევა და ის საწარმო დაიხურა

_დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, რა ტიპის რეგულაციები არსებობს?

–გვაქვს სიტუაციების შეფასების კრიტერიუმი, კრიტიკული და არაკრიტიკული. თუ კრიტიკული სიტუაციაა, სადაც ვთვლით, რომ არ გამოსწორდება მდგომარეობა, საწარმო ჯარიმდება 1000 ლარით და იხურება. არის არაკრიტიკული შეფასება, სადაც მდგომარეობა გამოსწორებადია და მომხმარებლის ჯანმრთელობას არ უქმნის საფრთხეს, რეკომენდაციებს და ვადას ვაძლევთ და შემდეგ ვახორციელებთ მონიტორინგს. ვადაგასულზე ობიექტის წლიური ბრუნვის შესაბამისად 200-500 ლარამდეა ჯარიმა, ეტიკეტის დარღვევის შემთხვევაში 400 ლარია, ხოლო ხორც-პროდუქტებზე 1000 ლარიანი ჯარიმებია. ახლა მიკვლევადობაზე გვაქვს ძირითადი აქცენტი, რომ ნებისმიერი სახის პროდუქტის წარმოშობა ვიცოდეთ და ვაფრთხილებთ და თუ მიიღო პროდუქტი, რომლის წარმომავლობა არ იცის მაღაზიის მეპატრონემ, 200 ლარიანი ჯარიმაა.

_ბაზარი რამდენად ექვემდებარება კონტროლს. ბაზარში შეძენილი სურსათი თუა შემოწმებული?.

–ბაზარი არ იყო აქამდე ბიზნესოპერატორი, ამიტომ ვერ ვაკონტროლებდით. აუცილებელი პირობაა, ბაზარი იქნება თუ ფიზიკური პირი და აქვს სურსათთან გარკვეული ტიპის შეხება, აუცილებლად იყოს დარეგისტრირებული ბიზნესოპერატორად. ამჟამად, ბაზარში შეძენილი ნებისმიერი ტიპის სურსათი ექვემდებარება კონტროლს და მომხმარებელიც დაცულია.



_ფიზიკური პირების მიერ წარმოებული ან ქუჩაში გამოტანილი სურსათის კონტროლი თუ ხდება?

––ფიზიკური პირი თუა და ეწევა ოჯახურ წარმოებას, ვერ ვაკონტროლებთ. თუ გავიგეთ, რომ დამოუკიდებლად აწარმოებს გარკვეულ პროდუქციას, ამაზე ცალკე სანქციებია. ასევე, ფიზიკურ პირებად მოიაზრებიან გარე მოვაჭრეებიც და მათზე კონტროლიც არ წარმოადგენს ჩვენი სამსახურის ფუნქციას.

მინდა, მოსახლეობა დავამშვიდო, რომ ვადაგასულ პროდუქტს, რომელიც ადრე ყველა მაღაზიის თაროებზე იყო, დღეს ვერც ერთ მაღაზიაში ვერ ნახავთ.

**თ. ჯავახიშვილი**

# საჩუქარი მრავალშვილიან ოჯახებს

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა სოციალურ პროექტებს ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს. ამის დასტურია ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ის ათასობით ლარი, რომელიც სწორედ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვისაა განკუთვნილი. ინფორმაცია სხვადასხვა დახმარებების შესახებ ჩვენ ბევრჯერ მიგვიწოდებია მკითხველისათვის. დღეს კი კიდევ ერთი სიახლის შესახებ: დედის დღესთან დაკავშირებით ოჯახებს, სადაც ოთხი და მეტი ბავშვია (18 წლამდე ასაკის), თითოეულ ბავშვზე მიეცემა 100 ლარი. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა გიორგი ცერცვაძემ განაცხადა, რომ დამატებით ახორციელებენ შემდეგ პროგრამასაც, ერთჯერადი დახმარება ყოველ მეოთხე და მეტ შვილზე. მეოთხე შვილზე 400, ხოლო მეხუთე და მეტ შვილზე 500 ლარის რაოდენობით.



აღნიშნული პროგრამით სარგებლობისათვის საჭირო იქნება შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა: განცხადება გამგებლის სახელზე, პირადობის მოწმობის ასლი, ყველა შვილის დაბადების მოწმობის ასლები, საბანკო დაწესებულებებში გახსნილი ანგარიშის რეკვიზიტები.

ზემოთხსენებული პროგრამა, უდავოდ, სასიკეთოა ჩვენი მუნიციპალიტეტის მრავალშვილიანი ოჯახებისათვის. იმ უდიდესი საქმისათვის, რასაც ისინი ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აკეთებენ, მუნიციპალიტეტის მესვეურნი ძალ-ღონეს არ იშურებენ, შეძლებისდაგვარად, ხელი შეუწყონ და წაახალისონ ასეთი ოჯახები.

# სასარგებლო ტრენინგი

ქალაქ გორში USAID -ის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი, რომელიც შეეხებოდა ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების ძირითად მავნებელ დაავადებებს და მათ წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოში. ტრენინგი მოიცავდა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმციო-საკონსულტაციო სამსახური, რომელიც აქტიურადაა ჩართული საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ყველა ინოვაციურ პროექტში. მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია საქართველოში გავრცელებულ მავნებელ დაავადებებზე, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს, როგორ ვუმკურნალოთ და როგორ მოვახდინოთ ფერმერების ინფორმირება. მონაწილეებს გადაეცათ უნიკალური ლიტერატურა. ეს სახელმძღვანელო, რომელიც ერთგვარი გზამკვლევია დამწყები თუ მოქმედი ფერმერისათვის, ამერიკის საერთაშორისო განათლების საბჭოების დახმარებით გამოიცა და მასში მოცემულია ყველა კულტურა, მისი დაავადებები და მასთან ბრძოლის საშუალებები. იგი მოსახლეობას მისცემს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებს დაინტერესებულ ფერმერებს გაუწიონ დახმარება და მისცენ რეკომენდაციები. აღსანიშნავი და სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ამ ტრენინგებს ქართველი სპეციალისტები-პროფესორები უძღვებოდნენ. მომავალი კვირისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ფერმერებთან შეხვედრა, რათა გადაეცეთ ის გამოცდილება, რომლებიც საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტებმა ტრენიგებიდან მიიღეს ბოსტნეულის მავნებლებთან დაკავშირებით.



ებრაჰიმ ჰასან ბეგი

# ლეგენდა ზურაბისა

**ამას წინათ, საქართველოში სტუმრად იმყოფებოდაა ცნობილი ირანელი მწერალი ებრაჰიმ ჰასან ბეგი. სასიამოვნო მოვალეობად მხვდა წილად, მეგზურობა გამეწია მისთვის დასავლეთ საქართველოში. სურამთან გავლისას, სტუმარს სურამის ციხისკენ მივაპყრობინე მზერა და მოვუყევი ლეგენდა, თუ როგორ ჩააშენეს მის კედელში დედისერთა ბავშვი, კედელი რომ არ დანგრეულიყო.**

**არ გამკვირვებია სტუმრის თვალზე ცრემლის კიაფი, რადგან, ალბათ, არ მოიძებნება ადამიანი, არ შესძრას სურამის ციხის ლეგენდამ.**

**ის იყო, ჩასულიც არ მეგონა სტუმარი თავის სამშობლოში, რომ მისგან, სპარსულ ენაზე, სურამის ციხის შესახებ ჩემგან მოყოლილი ლეგენდის მისეული, მხატვრულად გადამუშავებული ვარიანტ მივიღე, თანაც თხოვნით — იგი მეთარგმნა ქართულად და გამომექვეყნებინა.**

**დაე, ირანელი მწერლის გულის ლადარში გამოტარებულ ამ მონათხრობსაც გაეცნოს ქართველი მკითხველი.**

ნომადი ბართაია,

მახსოვს, პირველად, როცა სურამის ციხე ვნახე, შვიდი წლის გოგონა ვიყავი. ბაბუასთან ერთად ქუთაისში მივემგზავრებოდი. გზაზე ერთ დასახლებულ ალაგს მივაღწიეთ, რომელსაც სურამი ერქვა. იგი, ხეობაში, გზატკეცილსა და ფერდობს შორის, მწვანეში ჩაფლულიყო. უცებ, ამ სიმწვანეში, გორაკზე, ჩვენს თვალწინ, ერთი ლამაზი ციხე აღიმართა.

ბაბუამ მანქანა გააჩერა, რათა ნაზუქის პური აეღო, რომელსაც გზის პირას სოფლელები ჰყიდნენ. მე მანქანიდან მოწუსხული გავსცქეროდი ციხეს. გულით მეწადა, გამეგო, თუ ამ გორაკზე, ასე ლამაზად, ვინ და როგორ აზიდა იგი.

— „ბაბუ, შეიძლება, ეს ციხე ახლოდან ვნახოთ?" — შევსთხოვე და უფრო გულთან რომ მიეტანა წადილი, მივაყოლე: - „სურათი მინდა გადავიღო იქ!"

ვიცოდი, ბაბუ უარს არ მეტყოდა. მანაც ღიმილით მომიგო:

— „კარგი, ბაბუ, ვნახოთ ახლოდან, სურათებიც გადავიღოთ."

დავეშვით გზიდან. რაც უფრო ვუახლოვდებოდით ციხეს, უფრო და უფრო დიდდებოდა იგი. თითქოს ნაგებობა ერთი ქვისგან გამოეთალათ და აეზიდათ ცისკენ.

გადავიღეთ სურათები. ახლა ისიც მომინდა, ბაბუს ციხის შესახებ რაიმე ეამბა. ბაბუც დამთანხმდა: - „კარგი, ბაბუ, ჩავსხედით მანქანაში და გზაში გიამბობო".

ჩავსხედით მანქანაში და გავუდექით გზას. ერთი სული მქონდა, როდის დაიწყებდა ბაბუ თხრობას. ღამდენიმე წუთი ისე ვიარეთ, რომ ბაბუს ხმა არ ამოუღია, იგი მხოლოდ დაჟინებით გაჰყურებდა გზას, თითქოს დავიწყნოდა თავისი სიტყვა. მე კი მოთმინების ფიალა ამევსო:

— „რა იყო, ბაბუ? ხომ შემპირდი, ციხის შესახებ გიამბობო?"

ბაბუმ, თითქოს გამოერკვიაო, შემომხედა და მითხრა:

— „ახლავეო ბაბუ, ახლავე, აბა, კარგათ დამიგდე ყური!" — შემდეგ ამოიოხრა და დაიწყო:

— „ოდესღაც, ბაბუ, სურამი დიდი ქალაქი ყოფილა, რომელსაც ერთი გასაჭირი ჰქონია — მტერი არ აძლევდა თურმე მოსვენებას. წელი არ გავიდოდა ისე, რომ გადამთიელი არ დასხმოდა თავს, არ ამოეხოცა ხალხი და არ გაევერანებინა ქალაქი.



ერთხელაც, თურმე, მეფემ ბრძანება გასცა, ქალაქში, ხალხის დასაცავად, ციხე აეგოთ. მშენებლებიც შესდგომიან საქმეს. მოუზიდიათ ვეებერთელა ქვები. ის იყო, საქმეც შუამდე მიუყვანიათ, რომ დილით ციხის კედლები ჩამონგრეული დახვედრიათ.

უფიქრიათ, ალბათ, მტერია ქალაქში და ღამე, ყველას რომ სძინავს, თავის ბნელ საქმეს აკეთებსო.

მეფემ თურმე ახლი ბრძანება გასცა — ჯარისკაცები დაეყენებინათ ციხის მცველად.

ასე მოქცეულან, მაგრამ აი, საოცრება, ღამე, ციხის კედლები, ჯარისკაცთა თვალწინ, თავისით ჩამოშლილა.

ასეც განმეორებულა შემდგომაც.

მოკლედ, დღისით ნაშენი კედლები ღამე თავისით ინგრეოდა თურმე.

ვერვინ შეძლო აეხსნა ამის მიზეზი.

მეფე ამ ამბავმა ძალიან დააღონა, არ იცოდა, რა ექნა, ერთადერთი იმედი მკითხავიღა დარჩენოდა და ბრძანება გასცა მოეყვანათ იგი.

მაშინვე მიჰგვარეს მეფეს მკითხავი, ერთი სუსტი, სახედანაოჭებული და აჩოჩნჩხილი ქალი, რომელმაც როგორც კი შეიტყო საქმის ვითარება, ჯოხი შეათამაშა, თავი გააქნია, თვალები ეშმაკურად მოჭუტა, შემდეგ მზერა მიაპყრო მეფეს და უთხრა:

— „მეფეო, აქედან თავის დასახსნელად მხოლოდ ერთი გზა არსებობს!"

— „მითხარი ჩქარა, რა გზა არსებობს?!"

— „ერთი პატარა ბავშვი, შვიდი წლისა, ცოცხლად უნდა ჩაატანოთ ციხის კედელში, მხოლოდ ასე გამაგრდება, ციხის კედელი!"

მის გაგონებაზე მეფე საგონებელში ჩავარდა და ხანმოკლე ფიქრის მერე გაოცებით ჰკითხა მას:

— „ბავშვიო? აბა, რომელი ბავშვი? ქალაქი სავსეა ბავშვებით!"

— „ბავშვი უნდა იყოს ბიჭი, თეთრი სახის, ცისფერთვალა და წაბლისფერთმიანი!"

სხვა რა გზა იყო, მეფემ მაშინვე უბრძანა ჯარისკაცებს, რომ დაეარათ იქაურობის ყველა კუთხე-კუნჭული და მოეძებნათ ასეთი ბავშვი.

მართლაც, ერთ-ერთი მწყემსის ოჯახში აღმოჩნდა, ვისაც ეძებდნენ, სახელად ზურაბი.

ჯარისკაცებმა მაშინვე, დაავლეს ხელი ბავშვს და, მიუხედავად მისი დიდი გაძალიანებისა, იგი მეფეს მიჰგვარეს. მშობლებიც ერთი ვაი-ვიშით აედევნენ ბავშვს.

მეფემაც დაუყონებლივ გასცა ბრძანება, რომ ბავშვი ციხის კედელში ჩაეტანებინათ.

ეს რომ დედამ გაიგო, კივილითა და თავში ხელების ცემით, ფეხებში ჩაუვარდა მეფეს:

— „გევედრები მეფეო, ერთადერთი შვილი მყავს! არ დამღუპო! თუ ციხის კედელში ვინმეა ჩასატანებელი, მე ჩამატანე!.."

მაგრამ მეფემ არ ისმინა დედის სიტყვები:

— „სხვა გზა არ არის, შენი შვილი უნდა ჩავატანოთ ციხის კედელში, რომ არ დაინგრეს იგი, შენმა შვილმა უნდა იხსნას ქალაქი უბედურებისაგან!"

არ გაჭრა მშობლების ხვეწნა-მუდარამ. მშენებლებმაც ხელი დაავლეს საბრალო ბავშვს.

ზურაბი თავს იკლავდა, ვერ აცილებდნენ დედ-მამას, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა.

ციხის ირგვლივ მთელი ქალაქი მოჯარულიყო. ყველანი დიდი თანაგრძნობით, გულდამდუღრულნი შეჰყურებდნენ ზურაბისა და მის დედ-მამის საცოდაობას, რომლებიც ერთმანეთს ჩანასკვულნი, ცრემლებად იღვრებოდნენ.

ნამდვილი განკითხვის დღე იდგა.

და აი, დადგა განშორების ჟამიც. ჯარისკაცებმა მოაგლიჯეს ბავშვი მშობლებს, მიათრიეს ციხის კედელთან და გადასცეს მშენებლებს.

მშენებლებიც შეუდგნენ საქმეს. ზურაბი ცა და მიწას იკლებდა. მშენებლები ვერ აკავებდნენ ბავშვს. მაშინ დედა დაუსხლტდა ხელიდან ჯარისკაცებს, მივარდა მშენებლებს და შეჰპირდა:

— „მიმიშვით ჩემ შვილთან, სიტყვას გაძლევთ, მე დავამშვიდებ მას!"

მშენებლებიც დათანხმდნენ. დედამ



ზურაბი ჯერ ჩაიკრა მკერდში, შემდეგ სახეზე მოეფერა, ცრემლებით სავსე თვალებში ჩახედა და ამოაკანკალა გულიდან:

— „ნუ გეშინია, შვილო! მე აქ ვარ! შენთან ვარ! გამაგრდი, შვილო, ზურაბ!.." — „ვაიმე, დედი! არ მინდა სიკვდილი! მიშველე დედი!"

დედამ ლოყაზე აკოცა შვილს და დაუყვავა:

— „ვიცი, შვილო! ვიცი, რომ არ გინდა სიკვდილი! მაგრამ შენ სამშობლოს ეწირები მსხვერპლად, შენ ღია დაგხვდება სამოთხის კარი, შენ უფალი გიხმობს, უფალს დედ-მამაზე მეტად ეყვარები, შვილო!

„ვაიმე, დედი! მიშველე!.. მე შენთან და მამიკოსთან მინდა!.."

— „ნუ გეშინია, შვილო! ადრე თუ გვიან ერთად ვიქნებით!" — თქვა ეს და უნდოდა გასცლოდა ბავშვს, მაგრამ ზურაბი ყელზე ჩანასკვოდა დედას,

მშენებლებმა დაიწყეს ზურაბის ირგვლივ ქვების დალაგება და კედლის აყვანა. უკვე მუხლამდე ავიდა კედელი.

აჰა, წელამდე მიაღწია კედელმა. დედა-შვილი ჯერაც ერთმანეთს იყვნენ ჩანასკვულნი.

კედელი უკვე ზურაბის მკერდამდე ამოსულიყო. ბავშვი გრძნობდა, რომ თანდათან სუნთქვა უძნელდებოდა.

დედაც ხედავდა, რომ შვილთან გამოთხოვების დროც აღწევდა.

მშენებლებიც ხვდებოდნენ, დედა-შვილის განშორების წამი რომ ახლოვდებოდა.

და აი, დადგა ეს ჟამიც. ზურაბმა გაუშვა ხელი დედას. მშენებლებსაც მიეცათ საშუალება, განეგრძოთ საქმე და სამუდამოდ ჩაემარხათ ბავშვი ციხის კედელში.

ზურაბი უკვე კედლიდან, ცრემლით სავსე თვალებით შეჰყურებდა დედას. ახლა იგი წინანდელივით არ ტიროდა და არ ითხოვდა შველას, ის მწარე ბედისწერას შერიგებოდა. ეს იყო და დედა-შვილმა უკანასკნელად შეავლეს ერთმანეთს განწირული მზერა.

ამის შემდეგ დედას ზურაბი არ უნახავს, რასაც ხედავდა, მხოლოდ ქვები იყო, შავი ქვები. შემდეგ ჩაიმუხლა და ჩუმად დაიწყო მოთქმა, ისე, ზურაბს არ გაეგო.

ზურაბიც ჩუმად ტიროდა, დედას რომ არ გაეგო ისე. შემდეგ მისი ხმაც შეწყდა, თითქოს, სამუდამოდ, სიმშვიდეს მისცაო თავი.

მაგრამ ზურაბის ამბავი ამით არ დამთავრებულა.

ამის შემდეგ, როცა ხალხი ციხისკენ გაივლიდა, კედლიდან ბავშვის ტირილი მოისმოდა თურმე და ეს გაგრძელდა, მანამ, სანამ ზურაბის დედა ცოცხალი იყო.

ამის მერე ზურაბის ტირილის ხმა არავის გაუგია, მაგრამ "...

აი, აქ შეწყვიტა თხრობა ბაბუმ. მერე, ცოტა ხანს, იგი უხმოდ, მართავდა მანქანას და ჯიუტად გასცქეროდა გზას. ხოლო დაღარულ სახეზე რამდენიმე წვეთი ცრემლი ჩამოუგორდა, ვკითხე: — „მაგრამ რა... ბაბუ?"

ბაბუმ ჯერ ცრემლები შეიმშრალა და შემდეგ, გულდათუთქულად მითხრა:

— „მაგრამ ამბობენ, რომ იმ კედლიდან, სადაც ზურაბია ჩატანებული, თურმე ცრემლები მოწვეთავს, ზურაბის ცრემლები!...

ახლა კი მე ჩამომიგორდა ლოყებზე ცრემლები...

ო, როგორ მომინდა მაშინ, მეხილა ზურაბის ცრემლები და ვთხოვე ბაბუს, ეჩვენებინა ის ადგილი ჩემთვის.

— „აბა, ახლა, როგორ გამოვა, ბაბუ, უკანა გზაზე განახებ." — მომიგო ბაბუმ. ერთი სული მქონდა უკან მობრუნებამდე, რომ მენახა ზურაბის ცრემლები და იმ კედელთან, საიდანაც მოწვეთავდა იგი, თაიგული დამედო.

სპარსულიდან თარგმნა **ნომადი ბართაიამ**

# შვილების აღზრდის ქართული სისტემა და სხვისი მოიმედეობის განწყობა საქართველოში

ვაჟა შუბითიძე

უკვე მეოთხედი საუკუნე სრულდება რაც დამოუკიდებლები ვართ, მაგრამ წინ ძალზე ნელი ტემპებით მივიწევთ, ზოგიერთ სფეროში კი უკანსვლაც შეიმჩნევა.

ჩემის აზრით, ამის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი არის შვილების აღზრდის თანამედროვე ქართული სისტემა, რასთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული სხვისი მოიმედეობის განწყობა საქართველოში.

როგორ ზრდიდნენ შვილებს ადრე საქართველოში და როგორ ვზრდით ახლა?

ძველ საქართველოში ღვთისმოშიშობასა და ზნეობრივ აღზრდასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა პრაგმატული ხასიათის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ეს იყო ფიზიკური შრომის უნარის განვითარება, ხვნა-თესვის, მოსავლის მოყვანა-აღება-დაბინავების შესწავლა, საომარი წვრთნა-საბრძოლო ხელოვნების, ცხენზე ჯდომის, ნადირობის, თავდაცვა-თავდასხმის ცოდნის სისტემის ათვისება, მთებისა და ბარის ცოდნა, მდინარეთა და კლდეთა გადალახვა, ჭირში და ლხინში ქცევის წესები, უფროს-უმცროსობის ცოდნა, ზრდილობის ნორმები, ხელსაქმე, ჭამა-სმის ელემენტარული წესები, ქალთან ურთიერთობის კულტურა, შვილებისადმი მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მოპყრობა. ყველამ იცოდა, რომ გაჭირვების დროს, საკუთარი მეფის გარდა, არავის იმედი არ უნდა ჰქონოდა. ყოველივე ზემოჩამოთვლილი ადამიანში, ყველა ქართველში თუ აქ მცხოვრებში აღვივებდა საკუთარი თავის იმედს და პიროვნება ბავშვობიდანვე დამოუკიდებლობას ეჩვეოდა, რთული ცხოვრებისათვის მზად იყო და ამას ხელს უწყობდა მისი ადრე ქორწინებაც.

ვიდრე საქართველო მტრების გამუდმებული შეტევების ქვეშ იყო, ეს სისტემა გამართულად მუშაობდა, ხალხი შრომობდა და ომობდა, კულტურას ქმნიდა და ქვეყნის დაცვასაც ახერხებდა. ასევე მალე ხდებოდა მტრისგან დაქცეულის და აოხრებულის აღდგენა. მაგ: დაახლოებით გამოთვლილია, რომ თბილისი 35-ჯერ დავკარგეთ და დავიბრუნეთ, ომებში მიყენებული დიდი ზარალის აღდგენა სწრაფადვე ხდებოდა, მაშინ როცა 1992-93 წლებში აფხაზეთის ომში მიყენებული ზარალი დღემდე ვერ მოგვინელებია და უკან დაბრუნებაც ვერ ხერხდება ამ ტერიტორიების. ადამიანებს შეეძლოთ საკუთარ თავზე ვალდებულებების აღება და შესრულება, იყვნენ უფრო მეტად დამოუკიდებლები და ქმედუნარიანები, სასტიკებიც და ჰუმანურებიც და ცხოვრებას კარგად იცნობდნენ, მასზე სავსებით სწორად ჩამოყალიბებული წარმოდგენა ბავშვობიდანვე ჰქონდათ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა პირად მაგალითს მშობლების და უფროსების მხრიდან, რჩევა-დარიგებებს, პრაქტიკულ ქმედებებს და ა.შ. ასეთ უნარებს მაშინ ფლობდა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის არისტოკრატიაც, მცირედი გამონაკლისის გარდა (იგულისხმება ფიზიკური შრომა) „სახარება“, „ქართლის ცხოვრება“ და „ვეფხისტყაოსანი“ იყო ის აუცილებელი ნორმა, რაც მაშინ განათლებულ ადამიანს უნდა სცოდნოდა და აეთვისებინა.



გოგონები 13-14 წლის, ბიჭები კი 15-16 წლის ასაკიდან ცხოვრებისათვის და დამოუკიდებლობისათვის ძირითადად მომზადებულნი იყვნენ და ამ დროიდან ხშირად ოჯახდებოდნენ კიდეც.

მრავალშვილიანობაც ქართული ცხოვრების წესის აუცილებელი კომპონენტი იყო. მშობლებმა იცოდნენ, რომ ავადმყოფობის, ცხოვრების სიმკაცრისა და ომების გამო 10-დან 5-6 შვილი შეიძლება დაეკარგათ და ამას იძულებით ეგუებოდნენ – ქვეყანას დამცველიც სჭირდებოდა და მშრომელიც, რომელიც დაქცეულს აღადგენდა და ერს გაამრავლებდა. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო აღზრდის უნაკლო სისტემა, თუმცა იყო სრულიად ადეკვატური იმის, რაც მაშინ ქვეყანას სჭირდებოდა.

როდესაც რუსეთმა საქართველო დაიპყრო და ფაქტიურად აღიკვეთა თურქულ-ირანული და ლეკური შემოჭრის საფრთხე, ქვეყანას თავდაცვის ფუნქცია ჯერ მოუდუნდა და მერე ფაქტობრივად, მოეშალა კიდეც და მან სხვისი დაცვის და რჩენის იმედით იწყო ცხოვრება. ეს სხვა კი რუსი იყო. მიუხედავად იმისა, რომ რუსულ კანონებს, თავისუფლების დაკარგვას, რუსულ რეპრესიებს ქართველები ვერ ეგუებოდნენ და რუსი არ უნდოდათ, თურქეთ-ირანისაგან დამცველი რუსული ჯარის იმედი მაინც ჰქონდათ და რუსის ჯარის გაყვანას თითქმის არავინ ითხოვდა (ამას ადასტურებს ნოე ჟორდანია თავის მოგონებებში “ჩემი წარსული“, როცა აღწერს მაშინდელი გურიის და მთლიანობაში საქართველოს ყოფას.) ამან ათქმევინა ნიკო ნიკოლაძეს საოცარი და მწარე ირონიით გამსჭვალული სიტყვები, რომ „ჩვენს საზოგადოებაში ყველა დარწმუნებულია, რომ შველა ერთს მშვენიერ დღეს ზეციდან ჩამოგვიფრინდება ისე, რომ ჩვენ თვითონ ხელის განძრევაც არ დაგვჭირდება ჩვენი ბედის გაუმჯობესებისათვის. ჯერ არსად, არც ერთ ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა საკუთარი შრომითა და ჯანით. ადვილად შენაძენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი არც კერძო კაცს დააყრის ხეირს და არც მთელ საზოგადოებას . . . სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მეწველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია ჩვენში ნამდვილი ერთობა დარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება“

კიდევ უფრო მკაცრად ამუნათებდა მაშინდელ ქართულ საზოგადოებას არჩილ ჯორჯაძე: „ქართველი საზოგადოების სახით,- წერდა იგი,- საქმე გვაქვს „ავადმყოფ საზოგადოებასთან“. ჩვენი საზოგადოება მომხმარებლური გახდა. მათ არაფერი აინტერესებთ პირადი ცხოვრების მოწყობისა და სენსაციების გარდა. ქვეყნის სატკივარზე ფიქრისათვის არ სცალიათ. სამაგიეროდ თვალი ველო, იპო და აეროდრომებისაკენ უჭირავთ. ქართველები მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობენ – როგორ გაზარდონ საკუთარი შვილები ისე, რომ უზრუნველყოფილნი იყვნენ კარგი ცხოვრებით, მთავრობის სამსახურით და ჯილდოებით . ეროვნული საქმე მივიწყებულია, მისდამი ინტერესი დაკარგულია . . . ყველას უნდა ცხოვრების სუფრაზე უდარდელად წამოსკუპება . . . დაღონებული და დასევდიანებული ვგრძნობთ, რომ ის, რასაც ვაკეთებთ, ნამდვილი საქმე არაა და ის, რითაც ვცხოვრობთ, აზრს და მიზანს მოკლებულია . . . ყველას მაღალი თანამდებობა, დიპლომი, ჩინი, სამსახური გინდათ მაშინ, როცა საჭიროა პატიოსანი, ბეჯითი, მხნე, უბრალო მუშაკი, შემოქმედი ქვეყნის სიმდიდრისა, ახალი კულტურის გამავრცელებელი, ცხოვრების გამაუმჯობესებელი“.

რუსეთის მიერ დამონებული ერი სხვისი მოიმედე და ხელის შემყურე გახდა. შესაბამისად, ამ ყაიდაზე გადაეწყო შვილების აღზრდის სისტემაც, როგორც ეს არჩილ ჯორჯაძის ციტატიდან ჩანს. ეროვნული იდეალების შესუსტებამ ერში კერძო ეგოიზმის ზრდას შეუწყო ხელი (როგორც ჭაბუა ამირეჯიბი წერს „დათა თუთაშხიაში“ - „ერი საძოვარზე მიშვებულ ნახირს დაემსგავსა“,- შეიცვალა იდეალები და პრინციპები. ადრე არსებულ „ჯერ ქვეყანას და მერე მე, თუ რამე დარჩება“ პრინციპს დაუპირისპირდა პიროვნული ეგოიზმის და დაბალი შეგნების მიმანიშნებელი პრინციპი -„ჯერ მე და ჩემს ოჯახს და თუ რამე მორჩება, მერე – საქართველოსაც“.)

თუ ადრე შვილების აღზრდას საფუძვლად ედო პატრიოტული მოტივი, XIX საუკუნიდან იგი შეცვალა პირადი კეთილდღეობის პრინციპმა, რომელშიც სამშობლოს და მამულს ფაქტიურად ადგილი აღარ რჩებოდა.

თავისუფლება და დამოუკიდებლობადაკარგული ქართველები გათითოკაცდნენ, პასიურები და ეგოისტურები, ნიჰილისტები და სხვის ხელის შემყურენი გახდნენ, სხვა დაისახეს უდიდეს ავტორიტეტად და მხსნელად. სწორედ ამას აკრიტიკებდა ილია თავისი ცნობილი გამონათქვამით: „ვაი, იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი, იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის, თითოში ყველა, საცა თითოეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თითოეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“-იშვიათი... ყველამ ერთად და თითოელმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელი ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელი ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე“.

ყოველივე უცხოურის გაღმერთებამ და ნიმუშად დასახვამ მძიმე დაღი დაასვა მაშინდელი ქართველების შვილების აღზრდის სისტემასაც. სწორად მიუთითებდა დიდი ნიკო ნიკოლაძე, რომ „ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისათვის უდიდესი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, არამედ ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ, ისინიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებენ და არა ადამიანისას... უცხოელი ძიძა რაგინდ საღი იყოს, შენს დედაენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს“.

უმეტესწილად სწორედ XIX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი იმ მახინჯ მოვლენას, რასაც ჰქვია უნიჭო, დაბალგანათლებული და უზნეო ადამიანების წინა პლანზე წამოწევა პროტექციის, ნაცნობობის, ნათესაობის, ძმაკაცობისა და სხვათა საბაბით ნებისმიერ სფეროში, რაც დღემდე გრძელდება და სტიმულს და ცხოვრების იმედს უკლავს ნიჭიერ ადამიანებს: „განა კარგია,-წერდა ნიკო ნიკოლაძე“,-რომ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, საითაც არ გაიხედავ, სადაც უნდა ეჩქეფა „ნამდვილ საქმეს“, სწორეს ეს „ნამდვილი საქმე“ ვიღაც ვიგინდარას უპყრია ხელთ, ხოლო პატიოსანი, ძლიერი, მცოდნე, უანგარო და მართალი ადამიანები იღუპებიან გარკვეული საქმის უქონლობის გამო. როგორ უნდა მიაღწიოს განვითარებასა და წარმატებას ხალხმა, რომლის საუკეთესო შვილებიც უსაქმურობაში არიან ჩაფლულნი და რომელსაც მოღვაწეთა როლი არარაობათა და მდაბალთათვის დაუკისრებია“.

ამ პასიურობამ, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვამ ხელი შეუწყო ქართველთა დაგლახავებას და ღატაკად ქცევას, რაც კარგად შენიშნა თავის დროზე დიმიტრი უზნაძემ: „აქტიური ხასიათი, ძლიერი ნება აი, რა აკლია ქართველობას და ჩვენი აღზრდის სასტემაც აქეთ უნდა იყოს მიმართული. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გლახები და მონები იმიტომ კი არა ვართ, რომ ღატაკნი ვართ, არამედ ღატაკნი იმიტომ ვართ, რომ გლახები და მონები გახლავართ, და თუ რამ გვჭირია, ყოვლის უწინარეს, აქტიური ხასიათია ჩვენთვის საჭირო”.

ასეთ ერში ადვილად იკიდებს ფეხს კოსმოპოლიტიზმი და სხვადასხვა იზმები „თუ ადამიანთა რწმენა ეროვნული არ არის, თუკი ეროვნული მუსიკა მათ არ აღაფრთოვანებს, თუ ისტორია თავმოყვარეობას არ უღვიძებს, თუ ეროვნული ინდივიდუალობის დაცვა ვალად არ მიაჩნია და არ შესწირავს თავს მის სიკვდილისაგან ხსნასა, მას არც სამშობლოს წარმოდგენა აქვს და არც გრძნობა პატრიოტიზმისა” (მიხაკო წერეთელი)

თერგდალეულების დიდმა მცდელობამ და თავდადებამ მხოლოდ ნაწილობრივ გამოიღო შედეგი. იგივე ძველი იდეალებით, რომელიც კომუნისტურ ყაიდაზე იყო შეფუთული, გააგრძელა ქართველობამ ცხოვრება და შვილების აღზრდა ბოლშევიკების (კომუნისტების) ხანაში და მათ დროს ეს სისტემა კიდევ უფრო დამახინჯდა და უზნეო ელემენტებით შეივსო.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში (რომელიც ერთ–ერთი ყველაზე უსამართლო წყობაა მსოფლიოში) შვილების აღზრდის სისტემა ისეა აგებული, რომ ბავშვებში დამოუკიდებლობას არ ანვითარებს. დავიწყოთ იმით, რომ ქართველთა 99%-მა არ იცის, თუ როგორ უნდა აღზარდოს შვილი და მომავალი თაობა ხშირად ბედის ანაბარად იზრდება და ვითარდება. მეორე უბედურებაა ის, რომ მშობლები უნებურად ხელს უწყობენ შვილების ფუქსავატობას და ხშირად დაოჯახებულ შვილებსაც კი სიკვდილამდე ინახავენ. შეიძლება ერთი უკიდურესობაა, რომ უცხოეთის ბევრ განვითარებულ თუ განუვითარებელ ქვეყანაში ბავშვებს 8-10 წლიდან ამუშავებენ და საკუთარი თავის რჩენას აჩვევენ მშობლები, მაგრამ არაფრით შეიძლება ისიც, რომ მშობლები ყველანაირად ალოლიავებენ და უფრთხილდებიან 35 წლის „მუტრუკებს” და მათ ცივ ნიავს არ აკარებენ.

დღევანდელი ქართველი ახალგაზრდების (15-40 წელი) უმრავლესობა კვლავ მშობლების ხელის შემყურეა, ძირითადად კომპიუტერული თამაშებით, გართობით, ნაწილობრივ ნარკომანითაა დაკავებული, უპასუხისმგებლოა, გულცივია, არ ესმით ოჯახის და ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები, ძირითადად დროსტარებითაა დაკავებული და ფაქტობრივად არაფერ ღირებულს არ ქმნიან. ამ ყველაფერში ძირითადი დამნაშავენი არიან მათი მშობლები და ნაწილობრივ საზოგადოებაც.

როცა მშობლები დაეხოცებათ, მერე სახელმწიფოს იმედზე არიან ან თუ მისი იმედიც დაკარგეს, აშშ-ის, ევროკავშირის, ჩინეთის ან რუსეთის. არადა ჯერ კიდევ როდის გვეუბნეოდა ნიკო ნიკოლაძე, რომ „მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენ ძალას მივენდოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებაზე და განათლებაზე ვიშრომოთ – მაშინ მეგობარიც გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც. . . კერძო პირსაც, საზოგადოებასაც, ერსაც თავისი ცხოვრება, ბედი და იმედი მარტო საკუთარ შრომაზედ და ღონეზე უნდა ჰქონდეს დაფუძნებული; მარტო ეს საძირკველია შეურყეველი, მარტო მასზე შენდება მტკიცედ საკუთარი შენაძენიც და სხვისი დანახმარიც”.

დიდი უბედურებაა ისიც, რომ ყოველი მშობელი დღესაც ვალდებულად თვლის, რომ თავისი უნიჭო (ან ნაკლებნიჭიერი) შვილი როგორმე პრესტიჟულ სასწავლებელში და მერე კარგ სამსახურში მოაწყოს და ამით ცხოვრების საგზური წაართვას უპატრონო, ღარიბ, მაგრამ ნიჭიერ ახალგაზრდას.

რჩება შთაბეჭდილება, რომ ნიჭიერები ყველას „მოსწონს”, მაგრამ მათ არავინ ეხმარება. სწორედ უპერსპექტივობის განცდა აძლიერებს ახალგაზრდებში სუიციდისაკენ მიდრეკილებას, ნარკომანიისკენ მისწრაფებას, უიმედობას.

დღეს ყველა ვრწმუნდებით ძველი ქართული ანდაზის - „შვილი მტრად (ე.ი. მკაცრად) გაზარდე და მოყვრად გამოგადგებაო” – სისწორეში. ახალგაზრდები, რომლებსაც დაოჯახების მერეც მშობლები არჩენენ, სხვის მოიმედეობას ეჩვევიან და ისინი ვერც დამოუკიდებლად ჩამოყალიბდებიან და ვერც დამოუკიდებელ ქვეყანასააშენებენ.

შესაბამისად, ისინი მუდამ სხვისი (სხვა ქვეყნების) ხელის შემყურენი იქნებიან ცხოვრებაში.

დასკვნა ასეთია: თუ ქვეყნისათვის და მათთვის სიკეთე გვინდა, ბავშვები თავიდანვე მივაჩვიოთ დამოუკიდებლობას, ცხოვრების სირთულეებს, გადაწყვეტილებების მიღებას, მკაცრ რეალობას, რაღაცეების არქონებასაც და ოცნების ახდენისათვის საკუთარ ძალისხმევას, ნიჭიერების პატივისცემას, ფიზიკურ შრომას, პრაქტიკულ მოღვაწეობას, თავისუფლებას, ქვეყნისათვის რაღაცის მსხვერპლად გაღებას.

ათჯერ მეტი თანხები უნდა ჩავდოთ განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში, რათა ნიჭიერმა ქართველებმა ორჯერ მეტი იცოდნენ, ვიდრე მათმა ამერიკელმა, გერმანელმა, ჩინელმა, რუსმა თანატოლებმა.

ეს არის ჩვენი გადარჩენის ყველაზე რეალური შანსი, შვილების დამოუკიდებლად აღზრდასთან ერთად, თანამედროვე გლობალურ და დაუნდობელ მსოფლიოში.

# მამულიშვილი, რომელიც ახლა უბრუნდება ჩვენს ისტორიას

XIX საუკუნის ბოლოს სურამში დამკვიდრდა ბესარიონ ივანეს ძე ცაგურიას (---1925 წ.) ოჯახი. სურამის ცენტრში გასული საუკუნის 90-იან წლებამდე შემორჩენილი იყო ცაგურიების ერთსართულიანი აივნიანი სახლი. ბესარიონის ოჯახში იზრდებოდა ოთხი ვაჟი და ორი ქალიშვილი. ზოგიერთმა მათგანმა დაამთავრა ხაშურის ვაჟთა გიმნაზია. მიიღეს უმაღლესი განათლება. თამარი და მარიამი პედაგოგები იყვნენ, ვლადიმერი იურისტი, ირაკლიმ სამხედრო განათლება მიიღო, შალვა და ნიკოლოზი კი საინჟინრო დარგს დაეუფლენ. ბედის უკუღმართობას უნდა მივაწეროთ, რომ ცაგურიების სამი ვაჟი _ შალვა, ნიკოლოზი და ირაკლი სამშობლოდან შორს, ბელგიაში აღმოჩნდნენ 20-იანი წლებიდან

აქ დარჩენილმა ცაგურიებმა 30-40-იან წლებში დიდი რეპრესიები განიცადეს. ჩამოართვეს სახლი საკარმიდამო ნაკვეთით (რომლებიც საბავშვო ბაღს გადასცეს). ავეჯი სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაუნაწილეს (მათ შორის ხაშურის სახელმწიფო თეატრს)... ოჯახმა მხოლოდ 60-იანი წლებიდან შეძლო წართმეულის დაბრუნება, მაგრამ ბევრი რამ უკვე შეცვლილი იყო _ სახლი გადაკეთებული, საკარმიდამო ნაკვეთი დაპატარავებული, რომელშიც ახლა სხვები ცხოვრობდნენ... აქ, 1986 წლამდე ცხოვრობდა მარიამ ცაგურია. იგი სხვადასხვა დროს ასწავლიდა ხაშურის გიმნაზიაში, სურამის სკოლებში. დაკრძალულია იტრიის ტაძრის ეზოში.

ემიგრაციაში გარდაიცვალნენ ძმები, მათ იქ დარჩათ ოჯახი, შთამომავლობა.

ირაკლი ბესარიონის ძე ცაგურია, რომლის შესახებაც გთავაზობთ პროფესორ მიხეილ ბახტაძის წერილს, სამხედრო პირი იყო, 1924 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში და იქ გარდაიცვალა 1969 წელს.



ვფიქრობთ, მისი სახით ერთი საინტერესო ადამიანი, ჩვენი თანამემამულე უბრუნდება ჩვენს ისტორიას.

თ. ლაცაბიძე

1918-1921 წლებში ქართულ შეიარაღებულ ძალებში მრავალი თავდადებული ოფიცერი მსახურობდა. მათ შორის იყო პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურიაც.

ირაკლი ბესარიონის ძე ცაგურიამ, სავარაუდოდ, 1915 წელს პრაპორშჩიკის წოდებით დაამთავრა პეტროგრადში მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი. სამხედრო სამსახური მან კავკასიის ფრონტზე განაგრძო, კავკასიის მე-2 სამთო-საარტილერიო ბატარეაში.

1916 წელს ირაკლი ცაგურია სპარსეთის ფრონტზე იმყოფება. ის გენერალ ბარათოვის საექსპედიციო კორპუსში იბრძოდა. აქ მან ორჯერ გამოიჩინა თავი.

14 ნოემბერს, კავკასიის მე-2 სამთო-ცხენოსანი ბატარეის ოცეულის მეთაურობის დროს, ნამაკურომთან (სპარსეთის ფრონტზე) ბრძოლისას გავიდა რა ღია პოზიციაზე, გაუხსნა ცეცხლი მოწინააღმდეგეს და ზუსტი სროლით ჩაჩუმა მტრის ბატარეა. ამ თავდადებისთვის დაჯილდოვდა სახელობითი იარაღით.

19 დეკემბერს შტაბს-კაპიტანი ცაგურია, იმყოფებოდა რა პოლკოვნიკ ბიჩრახოვის[1] რაზმში და მეთაურობდა კავკასიის მე-2 სამთო-ცხენოსანი ბატარეის ოცეულს, ექვსი კაზაკის თანხლებით თამამად შეიჭრა თურქული კავალერიის მიერ დაკავებულ ქალაქ დოვლეთ-აბადოსში. გაიჭრა ბაღდადის გზაზე და კარტეჟით მოიგერია მოწინააღმდეგის ესკადრონის შემოტევა. დარჩა რა ღია პოზიციაზე, ორი თურქული ბატარეის გამანადგურებელი ცეცხლის ქვეშ, ფეხში დაჭრილი ცაგურია არ ტოვებდა თავის ქვედანაყოფს და პირადად ხელმძღვანელობდა მას. რაზმის მთავარი ამოცანა სწორედ დოვლეთ-აბადის დაკავება იყო, რითაც კორპუსის მთავარ ძალებს ჰამადანის მიმართულებაზე მოქმედება უადვილდებოდათ. ამ ბრძოლის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის შტაბს-კაპიტანი ცაგურია წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

ირაკლი ცაგურიას პირადი თვისებები კარგად გამოჩნდა 1917 წელს პეტერბურგში მომხდარი ამბისასა.

1917 წლის ზაფხულში, შტაბს-კაპიტანი ცაგურია მივლინებით პეტროგრადში გაიგზავნა. აქ მან მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკების ამბოხების ჩახშობაში. ირაკლი ცაგურიას მოქმედებას პეტროგრადში 1917 წლის 17 ივლისს, დაწვრილებით აღწერს ბორის ნიკიტინი თავის წიგნში „საბედისწერო წლები[2]", რომელიც1937 წელს პარიზში გამოიცა.

1917 წლის ივლისში რუსეთის იმპერიის დედაქალაქში არსებული მძიმე ვითარება კიდევ უფრო გაართულა ე.წ. „კერენსკის შეტევის" ჩაშლამ, ხოლო პეტროგრადის გარნიზონისათვის ფრონტზე გაგზავნის ბრძანების მიცემამ ჯარისკაცების უკმაყოფილებაც გამოიწვია. ქალაქში დროებითი მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები დაიწყო. 17 ივლისს დემონსტარციაზე 500 ათასამდე კაცი გამოვიდა. მათინაწილი შეიარაღებული იყო. ფაქტობრივად, ყველაფერი მზად იყო სახელმწიფო გადატრიალებისთვის.დააპატიმრეს მიწათმოქმედების მინისტრი ჩერნოვი. იყო მინისტრ ირაკლი წერეთლის დაკავების მცდელობაც. დროებითი მთავრობის ნაწილი გადადგა, ნაწილი კი ბედს მინდობოდა. განსაკუთრებით ბევრი ხალხი იყო თავრიდის სასახლესთან, სადაც პეტროგრადის დეპუტატთა საბჭო იყო შეკრებილი. სასახლეში იმყოფებოდა ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ბორის ნიკიტინიც. პეტროგრადის სამხედრო ოლქის სარდალმა გენერალ-მაიორმა პეტრე პოლოვცოვმა ცხენოსანი არტილერიის პოლკის უფროსს პოლკოვნიკ რებინდერს თავრიდის სასახლესთან მყოფი ბრბოს წინააღმდეგ კაზაკთა ასეულისა და ორი ზარბაზნის გაგზავნა უბრძანა.

აი, როგორ აღწერს მოვლენათა შემდგომ განვითარებას ნიკიტინი,„სასახლის მოედნიდან რაზმი ჩორთით მოდიოდა, როდესაც მოულოდნელად ლიტეინისა და შპალერნაიას ქუჩების კუთხეში, ლიტეინის ხიდეზე ფინეთის პოლკის ჯარისკაცების მიერ დადგმული ტყვიამფრქვევის ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდა. კაზაკები მიმოიფანტნენ. შევნიშნავ, მსგავს სიტუაციაში სხვანაირად მოქცევა შეუძლებელი იყო. ქუჩაში, ტყვიამფრქვევის პირდაპირი ცეცხლის ქვეშ პირდაპირი შეტევა მცირერიცხოვანი მხედრებისთვის უიმედო საქმეა. რჩება ერთადერთი რამე, დაიმალო მოფარებულ ადგილებში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქუჩებში, სახლების უკან. იმავე წუთს ორივე ქვემეხი გაჩერდა და კაზაკებმა მათი სასროლად გამზადება დაიწყეს. ერთ ქვემეხს ალყა შემოარტყეს აჯანყებული 1-ლი სარეზერვო პოლკის ჯარისკაცებმა. მეორემ, ზურგში მოკლული მხედრით, ლიტეინიდან გაასწრო. ამ ქვემეხიდან სამი გასროლა განხორციელდა. მას მოხალისე შტაბს-კაპიტანი ცაგურია მეთაურობდა. ცხენოსანი არტილერიის შტაბს-კაპიტანი ცაგურია კავკასიიდან მივლინებით იყო ჩამოსული, პეტროგრადში შემთხვევით მოხვდა. მან თავად გამოთქვა სურვილი რაზმს წაყოლოდა. რამდენადაც ვიცი, ამჟამად ბელგიაში ცხოვრობს.

პირველი გასროლისთვის ცაგურიამ, რომელიც მარტო დარჩა ჯარისკაცების გარეშე, ქვემეხი თავად გატენა ხელში მოხვედრილი პირველივე ჭურვით. ესროლა ორასი ნაბიჯის მანძილზე მყოფ ჯარისკაცების ჯგუფს, რომლებიც პირველი ქვემეხის ირგვლივ იყვნენ შეკრებილი. ჭურვი ზუსტად მოხვდა მიზანს და მოწინააღმდეგეს, რომელიც გაიფანტა, სერიოზული ზარალი მიაყენა. ამ დროს ცაგურიასთან მისიანებმა მიირბინეს: გვარდიული სარეზერვო ბატალიონის ქვეიასაულმა ფილიმონოვმა და ვახმისტრმა. მეორე გასროლით ცაგურიამ ჭურვი ჰოჩკისის ქვემეხების მიმართულებით განახორციელა, რომლებიც მას მდ. ნევას ჩრდილოეთ ნაპირიდან ესროდნენ. ბოლო მესამე ჭურვი კშესინსკების სახლის წინ აფეთქდა. იქ უკვე გამოცხადებული იყო ახალი მთავრობა ლენინისა და როშალის მონაწილეობით. ფანჯრებთან მომხდარმა აფეთქებამ ბოლშევიკებს დაანახა, რომ ჩვენ არა მარტო ვარსებობთ, არამედ აქტიურადაც ვმოქმედებთ. ამ ეპიზოდის დროს რაზმმა დაკარგა 6 მოკლული და 25 დაჭრილი. ცაგურიამ დაიბრუნა მეორე ქვემეხიც და ნელ-ნელა ხალხიც შემოიკრიბა. ამით რაზმის საბრძოლო მოქმედება დამთავრდა ... რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყველა იმ ადგილის ჩამოთვლა სადაც ცალკეული შეტაკებები იყო ... ცხრა საათზე მოვიდა გულადი ცაგურია, ტყვიებისგან ხმლის ვადა მომძვრალი ქონდა, ქუდი და ტანსაცმელი რამდენიმე ადგილზე გახვრეტილი. განწყობა შესანიშნავი, ტყვიამფრქვევის ცეცხლის ქვეშ მოხვედრის შემდეგ კი ამაღლებულიც. ის საბჭოების პირველივე შემხვედრ დეპუტატებს დაეძგერა და მათი გაშველება მომიწია. მთელი რაზმიდან ცაგურიას თან ახლდნენ დანილა და პეტრე პესტრეცოვები. ორი ძმა, დონის კაზაკთა 1-ლი პოლკიდან ... გადამწყვეტ მომენტში ბრბო შეყოვნდა.შეიძლება დავუშვათ, რომ რაღაც ეტაპამდე მათ ბუტაფორული შაშხანები აჩერებდა, რომლებსაც სასახლის კარებებიდან დავანახებდით ხოლმე. სავარაუდოა, გარკვეული გავლენა იქონია, მაგრამ არა სასახლესთან, არამედ კშესინსკების სახლში შეკრებილ ხელმძღვანელებზე, ლიტეინის ხიდთან განხორციელებულმა მანევრმა, უფრო ზუსტად ცაგურიას გასროლებმა".

1918 წლიდან ირაკლი ცაგურია ქართული სახელმწიფოს სამსახურშია. როგორც მისი ერთი წერილიდან ირკვევა, მონაწილეობას იღებდა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში და ბათუმთან მომხდარი შეტაკებისას დაიჭრა კიდეც.

1918 წლის დეკემბერში ირაკლი ცაგურია აქტიურად მონაწილეობს სომხეთთან ომში, როგორც სამთო-ცხენოსანი საარტილერიო ბატარეის უფროსი. აქ მან კიდევ ერთხელ გამოავლინა შენაერთის კარგი ხელმძღვანელობის უნარი და საოცარი პირადი ვაჟკაცობა.

ცაგურიას ბატარეა გენერალ-მაიორ გიორგი წულუკიძის ხელმძღვანელობით მოქმედ ქვედანაყოფში შედიოდა. ეს შენაერთი, ომის დაწყების პირველივე დღეებიდან, მძიმე თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდა გაცილებით მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სადგურ სადახლოსთან მიმდინარე ბრძოლა. შექმნილი ურთულესი ვითარების გამო გენერალმა წულუკიძემ, 21 დეკემბერს, 23 საათსა და 30 წუთზე, უკან დახევის ბრძანება გასცა.

აი, როგორ აღწერდა გაზეთი „სახალხო საქმე" ქართველი არტილერისტების უკანდახევას 22 დეკემბერს, „ყველაზე მეტად გაჭირვება გამოევლო არტილერისტებს და მათ რაზმს. ბრძოლა ზარბაზნებით 5 საათამდე გაგრძელებულიყო და როდესაც პოლკ. ცაგურიას და ქარუმიძეს შეეტყოთ, რომ ყუმბარები ელეოდათ, წინდაწინვე გამოეგზავნათ სამი ზარბაზანი, ხოლო ბოლომდე იქ ერთი ზარბაზანი დაეტოვებინათ. მაშინ, როცა საჭირო იყო შრაპნელით მოქმედება მოსულ მტერზე, უკმარისობის გამო, გრანატებს ესროდნენ. როდესაც ქარუმიძეს უნახავს საშიში მდგომარეობა ცაგურიასი, ისიც შეშველებია, ერთად შეკუმშულან 80 მეომარი პ. ცაგურიას მეთაურობით და მგლის ხროვასავით გარს შემორტყმული მტრისთვის თავზარდამცემი შეჭყივლებით ჰკვეთებიან. პოლკ. ცაგურიას მიუგდია ცხენი მოიერიშე სომხებზე, გაუკაფავს ხმლით რამდენიმე კაცი და ასე ბრძოლით უვნებლად გამოსულან სამშვიდობოზე. დაჭრილა ცაგურია ბარძაყსა და ხელში ხიშტით."

მიუხედავად ჭრილობებისა ირაკლი ცაგურიას საბრძოლო მოქმედებების არეალი არ შეუწყვეტია. 30 დეკემბერს ის თავის ბატარეასთან ერთად ბოლნის-ხაჩინის მიმართულებაზე მებრძოლ ქართულ შენაერთებს უერთდება.

სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ვერ შევძელით დაგვედგინა პოლკოვნიკ ცაგურიას სამხედრო სამსახურის კონკრეტული დეტალები 1919-1920 წლებში.

1921 წელს კი ის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იბრძვის. თბილისთან მიმდინარე ბრძოლის დროს, 24 თებერვალს, მე-11 არმიის სარდლობამ ქართული შენაერთების მარცხენა ფრთის შემოვლა განიზრახა. ამ მიზნით, საბჭოთა მე-18 საკავალერიო დივიზიამ სოფლების: ლილოსა და ნორიოს გავლით ავჭალაზე იერიში სცადა. პოლკოვნიკმა ირაკლი ცაგურიამ საკუთარი ინიციატივით კონტრშეტევა განახორციელა და წითლების ეს მანევრი ჩაშალა.

ქართული კავალერიის ეს კონტრშეტევა ირაკლი ცაგურიამ თავად აღწერა აკაკი კვიტაიშვილისადმი გაგზავნილ პირად წერილში. წერილი მოგვაწოდა და მის წაკითხვაში დაგვეხმარა საფრანგეთში მოღვაწე ისტორიკოსი გიორგი მამულია, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

ცაგურია ასე აღწერს მომხდარ შტაკებას: „24 თებერვალს, ცხენოსანი ბრიგადა (სახალხო გვარდიის პოლკი და არმიის) სოფელ დიდ-ლილოსთან იდგა. გიორგი ხიმშიაშვილის წასვლის შემდეგ, მე, როგორც უფროსი პოლკოვნიკი, ავტომატურად პოლკის მეთაური გავხდი. სადილის შემდეგ, ჩვენი მზვერავებისგან შევიტყვეთ, რომ წითლების ცხენოსანი კოლონები წისქვილიდან შორიახლოს, დიდი ლილოს შემოვლით, ავჭალისკენ მიდიოდნენ. ინფორმაცია სასწრაფოდ ეცნობა ბრიგადის შტაბს, ხოლო პოლკს ებრძანა სასწრაფოდ დაძრულიყო, რათა ბოლშევიკებისათვის ავჭალის დაკავებაში ხელი შეეშალა. გადავწყვიტე, საბჭოთა კავალერიის თამამ მანევრზე ჩვენი საკავალერიო იერიშით მეპასუხა ... დიდი ლილოს შორიახლოს, სახალხო გვარდიის პოლკი თავის ბელადს ვალიკო ჯუღელს შეხვდა, რომელსაც თან პოლკოვნიკი კარგარეთელი ახლდა - სახალხო გვარდიის ბატარეამ დიდი ლილოს მახლობლად მიგვატოვა და ერთი ყუმბარითაც კი არ დაგვეხმარა ... ცხენოსანი ბატარეის არყოფნა მძაფრად იგრძნობოდა. მაღლობიდან, სადაც ჩვენი ბელადი ვალიკო ჯუღელი იდგა, შესანიშნავად ჩანდა ბოლშევიკების კავალერიის მოძრაობა. მისი ავანგარდი უკვე სოფელ ნორიოში შედიოდა - როგორც შემდეგ გაირკვა, მეწინავე რაზმები უკვე ავჭალაში იყვნენ. ბევრი არ მიფიქრია. ნებართვა ვალიკო ჯუღელს ვთხოვე, ამოვარჩიე ორი საუკეთესო ესკადრონი, 1-ლი და მე-4 და ისე, რომ ერისთავისთვის ნებართვაც არ მითხოვია, ჩორთით დავეშვი წისქვილისკენ, რათა ჟლობას არიერგარდისთვის შემეტია. ჩემი მანევრი ნათლად ჩანდა და ის წითელმა სარდლობამ შეამჩნია. სოფელ ნორიოსთან დავეწიე ბოლშევიკებს, მაგრამ, სამწუხაროდ, იერიშის დასაწყისშივე დავიჭერი თოფის ტყვიით. ჟლობა დაიბნა ... მიატოვა ავჭალა, მთელი ცხენოსანი მასა სოფელ ნორიოსთან შეკრიბა და ჩამოაქვეითა. ჩვენ სარდლობას უნარი რომ გამოეჩინა ტფილისიდან ავჭალაზე გამოიყვანდა ძლიერ ქვეით ნაწილებს. ერისთავის ნაცვლად, რომ ენერგიული უფროსი ყოფილიყო, ჟლობა კატასტროფას ვერ გადაურჩებოდა ... ჟლობას კავალერიის შემოვლითმა მანევრმა გენერალი კვინიტაძე აიძულა ტფილისი დაეტოვებინა - ეს შემოვლითი მანვრი უვნებელყოფილი იყო ჩვენი მამაცური შეტევით. გენერალ კვინიტაძის ადგილზე [სხვას], მეკვშირე ოფიცრად რომ არ ყოლოდა დამფრთხალი გედევანიშვილი და ერისთავის ადგილზე ენერგიული უფროსი [ყოფილიყო], მე ვამტკიცებ, ნორიოსთან ჟლობა განადგურდებოდა ... აი, მოკლედ, თუ რა მოხდა იმ დღეს - მე დავიჭერი იერიშის დაწყებისას და ამან ხალხზე იმოქმედა. დაიჭრა მხოლოდ სამი კაცი. ჟლობა დაბნეული იდგა მთელი ღამე და ადგილიდან დაძვრას ვერ ბედავდა - ტფილისის არც ერთი მატარებელისათვის, რომელიც ავჭალისკენ და უფრო იქით მიემართებოდა არ იყო გახსნილი ცეცხლი, ისე გამაოგნებლად იმოქმედა ჟლობაზე ჩვენმა მანევრმა. რა მოხდებოდა ჩვენ რომ იქ უფრო ენერგიული ვყოფილიყავით და ვითარების გამოყენება შეგვძლებოდა, ამის შესახებ პირუთვნელი ისტორიკოსი იტყვის".

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ირაკლი ცაგურია ემიგრაციაში არ წავიდა.ბუნებრივია, რომ ისეთი მამულიშვილი და პროფესიონალი სამხედრო როგორიც პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია იყო ეროვნულ-განმათვისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობდა.



საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა ირაკლი ცაგურია დაეპატიმრებინა. ჩეკამ ამ მიზნით პოლკოვნიკ გიორგი ხიმშიაშვილის ძმის, ალექსანდრეს გამოყენებაც კი სცადა. თუმცა საბჭოთა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა პოლკოვნიკ ცაგურიას ხელში ჩაგდება.

ირაკლი ცაგურია 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო. თავდაპირველი გეგმის თანახმად მას ვაზიანი უნდა აეღო და აქედან შეეტია თბილისისთვის.

ირაკლი ცაგურიამ 1926 წელს ბელგიურ ჟურნალში, „ ა ღევუე ელგე" გამოაქვეყნა სტატია, სადაც საუბრობს 1924 წლის აჯანყებაზე და დაწვრილებით ყვება თავის მონაწილეობაზე. „აჯანყების გეგმა იყო შემდეგი: ტფილისის ხელში ჩაგდება ... აჯანყებულები უნდა მისდგომოდნენ ტფილისს სამი მხრიდან: კოჯორიდან მოდიოდა პოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით. საწინააღმდეგო მხრიდან უნდა გამოვსულიყავი მე და პოლკ. ჩოლოყაშვილთან შეერთების შემდეგ, ორივენი ტფილისზე მივდიოდით. რაც შეეხება მესამე მიმართულებას, დუშეთისას, იქ მეთაურობს გლეხი ლასხარაშვილი. ყველაზე ძნელი ამოცანა მე მერგო. უნდა ამეღო, ტფილისიდან 25 ვერსის მანძილზე დაცილებული ვაზიანის პოლიგონი, სადაც იდგა წითელი ჯარი 98 ზარბაზნით ... ჩემს განკარგულებაში მყავდა 300 გლეხი, ყოჩაღნი და ამაყნი ... ჩემი შტაბი იმყოფებოდა პატარძეულში. ვაზიანის კომისარი მოვიდა ჩემთან და მთხოვა გამოვსულიყავი დანიშნულ დროის თორმეტი საათით უფრო ადრე, რადგან სამხედრო წესი გამოცხადდა და ჩვენს მოულოდნელ თავდასხმას შეეძლო გამოეწვია არევ-დარევა მოწინააღმდეგეში. დავთანხმდი ამ წინადადებაზე და საღამოს შვიდ საათზე თორმეტ სოფელში ძალაუფლება გადმოვიდა ჩვენს ხელში - კომუნისტების უფროსობა იქნა დატუსაღებული - ადგილი არ ჰქონია არც ერთ უსამართლობას მათ მიმართ. ჩვენი პროგრამის პირველი ნაწილი ჩინებულად შევასრულეთ. დაგვრჩა მეორე - უფრო ძნელი და უფრო თავაღებული ნაბიჯის გადადგმა - უნდა წავსულიყავით ტფილისზე. საჭირო იყო მთელი არტილერიის ხელში ჩაგდება. ჩვენ ვუახლოვდებოდით მტრის ბანაკს, როდესაც ჩვენი სვლა შენიშნა მტერმა პროჟექტორების საშუალებით. ბატარეიდან ათი კილომეტრის მანძილზე ავუტეხეთ სროლა უკანა მცველებს. გაჩაღდა ბრძოლა. ამ მომენტში მაცნობეს მტრის კავალერიის სამი პოლკის ჩვენსკენ გამომგზავრება, წითლების გასაძლიერებლად. მდგომარეობა გართულდა. ტყვია-წამალი გვითავდებოდა. იძულებული ვიყავი ჩემიანებისთვის უკან დახევა მებრძანებინა და ღამის სიბნელის გამოყენებით ტყეში შევიხიზნეთ, მაგრამ გვიანღა იყო ... მთელი ეს საერთო აჯანყება ჩაქრობილ იქნა საშინელ სისასტიკით"

აჯანყების მარცხის შემდეგ ირაკლი ცაგურია ემიგრაციაში წავიდა. ცხოვრობდა ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში. აქტიურად თანამშრომლობდა ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებთან. აქვეყნებდა წერილებს საკუთარი სახელით და ფსევდონიმებითაც. გარდაიცვალა 1969 წლის 11 ნოემბერში.

# აქ ყველაფერი გაგაოცებთ

მობრძანდით!

D

ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, რომ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე, №22-ში, უკვე 4 წელია ფუნქციონირებს „კულინარი 2012“, რომელშიც ადგილზე დამზადებულ 30




დასახელების პროდუქციას შემოგთავაზებენ .

ჯერ კიდევ გარედან იქცევს ყურადღებას ეს ნათელი, სუფთა, კოპწია შენობა, რომელიც ქალაქის საავადმყოფოს ცენტრალური შესასვლელის დასაწყისში, ხელმარცხნივ მდებარეობს. შესვლისთანავე გაგაოცებთ აქ შექმნილი სისუფთავე, სიმყუდროვე, სიმშვიდე, მაქსიმალური კომფორტი და, რაც მთავარია, აქაური ნამზადის გემო, მრავალფეროვნება და ხარისხი.

არც ისე ვართ განებივრებული ისეთი ადგილებით, სადაც ყოველდღიურობით გადაღლილნი სულის სიმყუდროვეს ვიპოვით, სადაც თბილად



მიგვიღებენ, გაგვიღიმებენ, მოგვემსახურებიან, სადაც მიმზიდველ, მშვიდ, მყუდრო, სუფთა გარემოში დაივანებთ დამაშვრალნი. დანაყრდებით, გახალისდებით, სტუმარსაც მიიყვანთ, გაუმასპინძლდებით, დაბოლოს, დიდად კმაყოფილი დარჩებით.

სწორედ ასეთი გარემოა აქ და მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას მდებარეობს, სადაც მთელი ხაშურის მაჯისცემა იგრძნობა, აქაური სიმშვიდე და სიწყნარე იდეალური დასვენების საშუალებას იძლევა. აქ მართლაც სიამოვნებით წაიყვან სტუმარს, როცა ყველაზე მეტად გინდა, გამოიჩინო თავი სტუმართმოყვარეობითა და მასპინძლობით.

კომპანია მთლიანად აღჭურვილია ცნობილი იტალიური ბრენდის დანადგარებით. აქ დასაქმებულია 10 ადამიანი. მომუშავე პერსონალს პროფესიების მიხედვით გავლილი აქვთ სტაჟირება.

პროდუქციის მომზადებაში იყენებენ უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტებს. მომხმარებელს უფლება აქვს, თვითონ იხილოს, დაესწროს, თუ როგორ მზადდება პროდუქცია შენობის ქვედა სართულზე. ყველაფერი ყოველთვის უმაღლესი ხარისხისაა, ამიტომაც აირჩია კომპანიამ სლოგანი „ყოველთვის გემრიელია“, რომელიც 100%-ით ამართლებს მისი საქმიანობის შედეგს. მომხმარებელმა იცის, რომ ყოველდღიურად ხდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ინვენტარის გარეცხვა, გასუფთავება, სტერილიზაცია. სწორედ ამიტომ „კულინარი 2012“-ის ხშირი სტუმრები არიან როგორც ქ. ხაშურის მოქალაქეები, ასევე ჩვენი ქალაქის სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ბევრი ცნობილი სახე.



მოგეწონებათ!

## ანასტასია კოშკაძეს

სუნთქვასავით გარდასულა ერთი წელი,
ერთი წელი, უშენობის ერთი წელი.
სურწყუნისი შარშან ავად დაგემუქრა
გაგიტყუა სამარისკენ მაცდურ გზებით.
ცამეტია–იღრინება თებერვალი,
უშენობა გაგვიტარა გულში ხანჯლად,
თურმე, როგორ გვყვარებიხარ, ჩვენო ტასო,
მონატრება ჩაგვისახლა სულში დარდად.
სანთელივით დაიღვენთა ცრემლი წმინდა
კურცხალ-კურცხალ შენს ცხედართან დადენილი,
გვინდა, საგზლად გაგატანოთ სიყვარული,
ჯერართქმული, ამ მძიმე ჟამს გამხელილი.
შენს ბინაში – სისპეტაკის თეთრ ბუდეში,
ხელთა შენი ნაქარგები გვაწონებს თავს,
აგერ, შენი ხელნაწერთა ფილიგრანი,
გვაოცებს და კვლავ გადიდებს ღირსეულ ქალს.
ამ ბინაში უპირველეს გვაოცებდა,
თინიკოს და შენი დიდი სიყვარული,
მერე უღვთოდ გაყოფილი თქვენი გზები,
განშორების ტკივილი და სინანული.
სააქაოს დარჩენილო, ჩემო თინი,
ტკივილს შეცვლის მოგონება მარადისი,
დრო და დრო კი გაგამხნევებს მამიდას ხმა,
მოისმინე მისი სულის ღაღადისი.
„ვიცი, როგორ გიძნელდება უჩემობა,
ვიცი, წუხილს როგორ იკლავ ჩუმად გულში,
ვიცი როგორ უმკლავდები ქარაშოტებს,
ვიცი, როგორ გათოვს, გაწვიმს, სპეტაკ სულში.
დარდს აჯობე და სიმშვიდე მოიპოვე,
გთხოვ, ღიმილით მომიგონო, არა ცრემლით,
მე შენთან ვარ, ავისაგან დაგიფარავ,
გთხოვ, იმედით გამიხსენო, ამას გვედრი!“

ნანი გაჩეჩილაძე

## ანასტასია კოშკაძის გახსენება

ერთი წელი გასულა... თურმე როგორ გვყვარებიხარ! როგორ გვენატრებიან ჩვენი სკოლიდან იმ ქვეყანაში წასული ლეგენდარული პედაგოგებიც. ტასო, შენ ერთ-ერთი გამორჩეული ხარ მათ შორის.

იმდროინდელმა ცხოვრებამ მძიმე ტვირთი დაადო შენს სუსტ მხრებს. გამორჩეულ მოსწავლეს მშობლიურმა სკოლამ, გაგიღო კარი. აკი გაუმართლე კიდეც.

ქართული ენისა და ლიტერატურის უზადო მცოდნე, ზნეკეთილო ადამიანო, ცხოვრება სიმართლითა და პატიოსნებით განვლე, ათეულობით წელი იღვაწე. ქვეყანას მრავალი თაობა აღუზარდე. მშობლიურ ხაშურს კი თინიკო კოშკაძე.

შენში შერწყმული იყო სიყვარული, ერთგულება, ბრძნული განსჯა, სითბო და სიკეთე, რასაც უშურველად უზიარებდი ირგვლივმყოფთ. სამაგიეროდ, არაფერს ითხოვდი. სანაცვლოდ მოსწავლეებმა და მშობლებმა ძვირფასი საჩუქარი მოგართვეს – უანგარო სიყვარული.



ღმერთმა მოგაგოს სასუფეველში.

„უფალო, დაემკვიდრჰყავ იგი საუკუნეთა კეთილთა შენთა“.

მეგობრები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.